საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 11/30-09 „09" 12 2016 წ.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება N 11/2016

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N183/01-01 (20.10.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე დამტკიცებული (ოქმი N3, 26.03.2015) ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გამოყოფილი თანხა (42 548 ლარი) გაიცეს ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებისათვის.
2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდეს წინა სემესტრში სტუდენტთა აკადემიური შედეგებისა და შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის, ხოლო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტებისათვის - მინიმუმ 27 კრედიტის საფუძველზე; ხოლო პირველ სემესტრელთა დაფინანსება განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის დაწესებული სპეციალობის გამოცდაზე მიღებული უმაღლესი შეფასების (A) საფუძველზე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

3. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დასაფინანსებელი თანხის ზუსტი პროცენტი, დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობისა და გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით, განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

**მესამე სემესტრის სტუდენტებისთვის:**

ა) აკადემიური შედეგების 95-100 ქულის შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406.25 ლარი დასაბეგრი თანხით) 33% -ით, კერძოდ 464 ლარის ოდენობით;

ბ) აკადემიური შედეგების 90-დან 95 ქულამდე შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406.25 ლარი დასაბეგრი თანხით) 27% -ით, კერძოდ 380 ლარის ოდენობით;

გ) აკადემიური შედეგების 81-90 ქულამდე შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406.25 ლარი დასაბეგრი თანხით) 21%- ით, კერძოდ 295 ლარის ოდენობით.

**პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის:**

ა) აკადემიური შედეგების 91-100 (A) ქულის შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406.25 ლარი დასაბეგრი თანხით) 28.1% -ით, კერძოდ 395.70 ლარის ოდენობით;

4. დასაფინანსებელ კანდიდატთა სია განიხილოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი №7, 27.10.2016) დამტკიცებულმა კომისიამ;
5. დაფინანსება არ შეეხება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის, ან სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სხვა სახის დაფინანსების მქონე მაგისტრანტებს.
6. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ. დოლბაია